N 81 25/04/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 7

დ. ჩოხატაური *12 აპრილი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ვლადიმერ სიხარულიძე,ქეთევან სიხარულიძე,გოჩა სეხნიაშვილი,აკაკი ყაჭეიშვილი,დავით ტყეშელიაძე,ლაშა თოლორდავა,გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, რამაზი უჯმაჯურიძე,ოთარი სოროზანიშვილი,ერეკლე უღრელიძე, თემური ხუხუნაიშვილი, უშანგი ართმელაძე,დავით ვაჩეიშვილი,ალეკო კვინტრაძე,მალხაზ ჩხიკვაძე,დავით ტრაპაიძე,მარინე ბერაძე,კობა კალანდაძე,ზვიადი მამალაძე,მაია პაიჭაძე,ირაკლი ახობაძე,მანანა მინდაძე,შალვა ჩანტლაძე,მამია ბარამიძე,დიმიტრი კორიფაძე,გოდერძი გოგიშვილი,რომანი ჯულაყიძე,კლოდი მდინარაძე, თამაზი დევიძე.

არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე შარაშიძე,დავით გუდავაძე,გოჩა თოდრია,მაია გიორგაძე,გია გვენეტაძე,მამია ბარამიძე(ენმ),არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

ირაკლი კუჭავა - მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალური შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი - ქონების მართვის და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

ალექსანდრე ალავერდაშვილი -შ.პ.ს. ,,აუდიტ-ეკონომიქს“-ის დირექტორი

მერაბ კვინტრაძე- აუდიტორი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.
4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის" ჩოხატაურის მუნიციპალიტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთვში მდებარე #28.09.24.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის" თავმჯდომარემ ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ არ იქნა გათვალისწინებული მისი თხოვნა სხდომას დასწრებოდა აუდიტორი ჯიბლაძე,რომელმაც გასულ წელს ჩაატარა შემოწმება და მინდოდა მისთვის დამესვა გარკვეული კითხვები.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზვიად მამალაძემ, რომან ჯულაყიძემ, დათო ვაჩეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებლები: აუდიტორი ალექსანდრე ალავერდაშვილი,

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მაია პაიჭაძე

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთავში მდებარე #28.09.24.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მოისმინეს:

1. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ირაკლი ახობაძემ-** აღნიშნა,რომ სატენდერო კომისიის მიერ რომლის თავმჯდომარე თქვენ იყავით(ვლადიმერ გოგიბერიძე),ატვირთული მასალებიდან ირკვევა,რომ აუდიტორ გიორგი ჯიბლაძეს,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის“ შესახებ,საქართველო კანონის-მუხლი16. გარდამავალი დებულებანი,,3.საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატები,რომლებიც ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისათვის მოქმედებს 2013 წლის 1 იანვრიდან 5 წლის განმავლობაში“,როგორც ჩანს შ.პ.ს ,,აუდიქს ეკონომიქსის“ ხელმძღვანელობა არ იცნობს კანონს,, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“. ბატონო ალექსანდრე, თუ თქვენ და თქვენმა აუდიტორმა მოქმედი კანონის შესახებ არ იცით,როგორ უნდა ვენდოთ თქვენს მიერ ჩატარებული შემოწმებას?

ალექსანდრე ალავერდაშვილი- სერთიფიკატს ძალა აქვს 2018 წლის 1 იანვრამდე,აქედან გამოდინარე ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად.

ირაკლი ახობაძე- შესყიდვების ანგარიშიდან ირკვევა,რომ სოფლის მხარდამჭერი პროგრამებიდან ეკონომია დარჩა 37,937 ათასი ლარი, აქედან 27,7 ათასი ლარი მიემართა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად,დარჩა ნაშთი 10,234 ათასი ლარი,გთხოვთ მიპასუხოთ რაში დაიხარჯა აღნიშნული თანხა.

ვლადიმერ გოგიბერიძე- 2016 წელში წარმოებული ტენდერები დასრულებულია, ერთ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და დასრულდება ამ დღეებში. შესყიდვები განხორციელდა კანონის შესაბამისად. სამსახურის ყველა თანამშრომელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ უფლება- მოვალეობას.

კორექტირება ხდება მუშა პროცესში ექსპერტიზის შენიშვნების გათვალიწინებით. მიხედვით ვინმე რომ არ აღმოჩნდეს დისკრიმინაციის პირობებში ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად.

ცნობად იქნა მიღებული განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.“

II საკითხი: მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

<u>აზრი გამოთქვა:</u> ოთარ სოროზანიშვილმა, ალეკო კვინტრაძემ, მალხაზ ჩხიკვაძემ,გოჩა ჯიქიამ.

ირაკლი ახობაძემ- ბატონო გამგებელო თქვენი ანგარიშიდან შემოსულობებმა ნაშთის ჩათვლით შეადგინა 13.933,9 ათასი ლარი ,ხოლო გადასახდელების ფაქტიურმა ხარჯმა კი 13.088.0ათასი ლარი ე.ი. 2016 წლის ბოლოს ნაშთის სახით უნდა იყოს 845,9 ათასი ლარი, ხაზინის მონაცემიდან ირკვევა,რომ ნაშთი არის 853.1ათასი ლარი,რატომ არის სხვაობა ნაშთში.

-2017წლის 1 იანვრისათვის დარჩა ნაშთი 852.1 ათასი ლარი,ხოლო შესრულების ანგარიშიდან ჩანს ,რომ სხვა დონის ბიუჯეტის გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი გახარჯეთ 15.97 ათასი ლარი,აღნიშნული ნაშთში რატომ არ ჩანს.

- შესრულების ანგარიშიდან ირკვევა,რომ სოფლის მხარდამჭერი პროგრამებიდან ეკონომია დარჩა 37934,2 ლარი,აქედან 27,7 ათასი ლარი მიემართა რეგიონებში განსახორციელებელ პროექტებში დარჩენილი თანხა 10,234 ათასი ლარი ნაშთში რატომ არ ჩანს ,სად არის ეს თანხა.

- 6 თვის ანგარიშით,,შენობების, ტექნიკური პასპორტების. მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საინფორმაციო საშუალებების ხარჯების ,,მუხლში ნაჩვენები იყო სულ 67,875 ათასი ლარი,აქედან 9,162 ათასი ლარი ადგილობრივი, 9 თვის ანგარიშით კი 68,934 ათასი ლარი, ხოლო წლიური ანგარიშით არის 0 ლარი. (კოდი 030301) სად წავიდა ეს თანხები.

ნაშთი ხაზინიდან მოწოდებული და თქვენს მიერ მოცემულს შორის არის 8 ათასი ლარი , რით

არის განპირობებული.

- 2015 წელს სარეზერვო ფონდიდან დახარჯეთ 45,9 ათასი ლარი, აქედან დაეხმარეთ 4 მოქალაქეს მათ შორის იყო სტიქიის თანხები.

- 6 თვის ანგარიშით სარეზერვო ფონდიდან დახარჯეთ 12,6 ათასი ლარი,აქედან დაეხმარეთ 3 ადამიანს, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი იყო,შემდეგ კი თქვენ დაეხმარეთ 134 მოქალაქეს,საუბარია სარზერვო ფონდიდან სხვადასხვა სამედიცინო დახმარებებთან ხარჯვაზე-სულ 61,7 ათასი ლარი. წინა წლის ანალიზიდან გამომდინარე,ხომ არ იქნა ეს თანხები გამოყენებული წინა საარჩევნოდ.

- მიზნობრივი ტრანსფერი 167 ათასი ლარია დახარჯული შემოსული 183 ათასი,15 ათასი ლარით

მეტია დახარჯული.

- საპროექტო დოკუმენტების ხარჯები 67 ათასი ლარია ადგილობრივი, ხოლო წლიურში 0 ლარია ნაჩვენები,სად წავიდა ეს თანხა.
- 6 თვის ანგარიშით სარეზერვო ფონდიდან 12 ათასი ლარი დაიხარჯა,61,7 ათასი ლარით 136 მოქალაქეს დაეხმარეთ,გამოიყენეთ თუ არა ეს თანხა არჩევნებისთვის.?
- სოციალურ პროგრამაში გადახარჯული გაქვთ 65 ათასი ლარი დაარღვიეთ კანონი თუ არა?
- ბიუჯეტს გადაყვა ვალი 81,0 ათასი ლარი, რატომ?
- სოციალურ პროგრამებში გადახარჯულია 65 ათასი ლარი,დაარღვიეთ თუ არა კანონი?
- ბიუჯეტს გადაყვა 81 ათასი ლარი დავალიანება და რატომ?
- კვარტალური გაწერით თქვენ ბოლო კვარტალში დაგეხარჯათ 55 ათასი ლარი, შემდეგ 2 ათასი ლარი, ე.ი. სარეზერვოდან დახარჯეთ 13 ათასი ლარი, ამას თქვენ სრულყოფილად თვლით?
- საგარანტიო წერილებით გასაცემი თანხები აჭარბებს გამოყოფილ ასიგნებებს.აღნიშნულის შესახებ წინა წელსაც მოგცათ შენიშვნა აუდიტმა იგივე განმეორდა მიმდინარე წელსაც და რატომ?

გოჩა ჯიქიამ:

-რამდენად მართებულია სპორტული მოედანის მიმდებარე ტერიტორია გამოყენებული იქნას მანქანების სადგომად.?

ალეკო კვინტრაძემ:

-საჭამიასერში დგას სანაგვე ურნები და არ არის საკმარისი თუ იქნება საშუალება რომ დაგვიმატოთ?

ოთარი სოროზანიშვილმა:

-იგეგმება თუ არა დაბის ტერიტორიაზე მოძრაობის წესების მოწესრიგებასთან დაკავშიებით ღონისძიებების გატარება;

- ითვალისწინებთ თუ არა მომავალში ტურისტული მარშრუტების გაფართოებას ვგულისხობ თუნდაც ჯაჯის ტბას;

მალხაზი ჩხიკვაძემ:

- ბაღების რაოდენობის გაზრდა თუ იგეგმება და კადრები რამდენად კვალიფიკაციურია;

- საფერშლო პუნქტები რამდენად კანონიერია და თუ იგეგება მისი ჩანაცვლება;

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მანძილის გაზომვით ტრანსფერის რაოდენობის გაზრდა შესაძლებელია და თუ იგეგმება ამ მხრივ რაიმე;

დასმულ შეკითხვებს უპასუხა ირაკლი კუჭავამ;

-დაბის ტერიტორიაზე მოძრაობის წესების მოწესრიგებასთან დაკავშირებით გატარდება საჭირო ღონისძიებები(დაიხაზება და დაიდგმება მოძრაობის ნიშნები)

- რაც შეეხება ტურისტულ ტურებს ბახმაროს, ჯაჯის ტბას და სხვა თქვენ დაგეგმეთ და ჩვენ ხელს შეგიწყობთ.
- კადრების საკითხი ზოგადად განსაკუთრებულ მომზადებას მოითხოვს,ამ საკითხში რეოვოლუციური ცვლილებები იგეგმება,ამ დროისთვის საგანგაშო მდგომარეობა ნამდვილად არ არის, მომავლისთვის დაგეგმილია ბაღებმა გაიარონ აკრედიტაცია.
- ერთჯერად დახმარების ეფექტიანობასთან დაკავშირებით ვიმსჯელეთ საკრებულომაც განიხილა და 2017 წლის ბიუჯეტში არ მოხვდა მათი ჩაგეგმვა.
- გზების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით,რომ ტრანსფერი გაიზარდოს ჩვენ ვიმსჯელეთ,ვიფიქრეთ და ვისაუბრეთ. კაპიტალური ტრანსფერი დამატებით გამოგვეყო 200 ათასი ლარი,ასევე დაგვიმატეს 95 ათასი ლარი.30 ათასი ლარის დახარჯვა წლის მეორე ნახევარში გზების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით,როგორც მენეჯერს მიზანშეწონილად არ მიმაჩნია .
- იმდენი მანქანაა,რომ კვირა დღეს მანქანები ერთმანეთს ვერ უვლიან,ამიტომ ამ თემას ასე მარტივად ვერ მოვაგვარებთ,ამისათვის საჭიროა დამატებითი ტერიტორია მისი კეთილმოწყობით.უნდა გაკეთდეს გუთურისკენ მდინარე სუფსაზე დამაკავშირებელი ხიდი, რომ განიმუხტოს მდგომარეობა. არა მგონია 50 მანქანამ პრობლემა შეუქმნას ბავშვებს დაგეგმილ ღონისიებებთან დაკავშირებით.
- სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეოაბა უკეთესია ვიდრე ადრე იყო,შეიცვალა სანაგვე ურნები,მივიღეთ ახალი ტექნიკა, რაც შეეხება სოფელ საჭამიასერს სანაგვე ურნები აუცილებლად დაემატება.

- იყო ის შემთხვევები,როცა ახალგაზრდა ადამიანი იღუპებოდა,ესაჭიროებოდა ქიმიის გაკეთება და საჭირო თანხა არ გააჩნდა და დავეხმარე სარეზერვო ფონდიდან,ასეთები ბევრი იყვნენ,ამით კანონი არ დამირღვევია.

ცნობად იქნა მიღებული განკარგულება: ,,მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ანგარიში 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.“

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს:

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

თანამომხსენებლები: აუდიტორი ალექსანდრე ალავერდაშვილი,

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მაია პაიჭაძე

<u>მომხსენებლის და თანამომხსენებლის მოსმენის შემდეგ გაიმართა დებატები</u>

ირაკლი ახობაძე- აღნიშნა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ შეესაბამება არსებულ რეალობას. ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი არ უჭერს მხარს წარმოდგენილ დოკუმენტს.

მაია პაიჭაძე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განსახილველად შემოვიდა პროექტი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენა შესრულების აუდიტის ანგარიში.

2015 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დავამტკიცეთ 2016 წლის ბიუჯეტის გეგმა. მომხსენებელმა ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე. არ განვმეორდები და მოგახსენებთ მხოლოდ, რომ 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა გახლდათ 5 751.800 ლარი, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი 13 113.800 ლარი.

პერმანენტულად ხორციელდებოდა საბიუჯეტო ცვლილებები წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე აღმასრულებელი ორგანოდან. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ (3. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

4. არჩევნების დღემდე მე-60-ე დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება).

შესაბამისად მოცემულ პერიოდში ლოგიკურად იქნა შესუსტებული საკანონმდებლო ორგანოს კონტროლი საარჩევნო აქტივობასთან დაკავშირებით.

შემოსავლების კუთხით 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში დაგეგმილი ბუნებრივი რესურსები მოსაკრებლიდან (460.0 ათასი ლარი), შემოვიდა მხოლოდ 20.0 ათასი ლარი, მაგრამ შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში გაჩნდა დაუგეგმავი

შემოსავლები, კერძოდ, მიწის ლეგალიზაციით დაიგეგმა 75.0 ათასი ლარის შემოსავალი. ფაქტიურად შემოვიდა 188.0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება 156.0 ათასი ლარი. მთავრობის განკარგულებით 240.0 ათასი ლარი (2 განკარგულება ცალცალკე).

დაუგეგმავი შემოსავლების ჯამი იძლევა იმაზე მეტ ფინანს, ვიდრე ეს ბიუჯეტით გათვალისწინებული გვქონდა ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლით. აქ არ ჩანს დეფიციტი შემოსავლებთან დაკავშირებით, ამიტომ კომისას მიაჩნია, რომ ლოგიკურად გადასახდელების თვალსაზრისით არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე სახის დაბრკოლება, კერძოდ, სოციალური კუთხით.

მოგეხსენებათ, ვალდებულებებში აღებული იქნა 81.0 ათასი ლარი, რომელიც რათქმაუნდა ტვირთად დააწვება 2017 წლის ბუიჯეტს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ამ რაოდენობით (თუმცა აქ რაოდენობრივ მაჩვენებელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს) ვალდებულების აღებას ეთანხმება ამ მოცემულობაში ერთადერთი მიზეზით-რომ საქმე ეხება ჩვენი შეჭირვებული თანამოქალაქეების სოციალურ დახმარებას. ამ მიზნით საკრებულომ შეიმუშავა დაცვის მექანიზმი და სოციალური დახმარების გაცემის წესში ცალკე მუხლად დაემატა მუხლი 32. **ანგარიშის წარდგენა** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერი №31 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ”

1. ინფორმაცია განხილული განცხადებების, გაცემული დახმარებების შესახებ კვარტალში ერთხელ, მომდევნო კვარტლის პირველი თვის 10 რიცხვამდე წარედგინოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. აღნიშნული შესაძლებლობას მოგვცემს დროის მცირე მონაკვეთში იქნას მოსმენილი შესრულების ანგარიში და დროულად გაკეთდეს კორექტირება, თუ ეს საჭირო გახდება.

სამწუხაროდ, არაერთგზის გვიწევს მითითება ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რაც გამოწვეულია ელექტრონული

პროგრამის არარსებობით. აღნიშნული დასტურდება აუდიტის დასკვნით.ამიტომ კომისიას მიაჩნია, რომ შევიმუშავოთ პროექტი მეტი გამართულობის მიზნით.

წლის განმავლობაში საფინანსო- საბიუჯეტო კომისია მუშაობდა თანმიმდევრულად. განხილული იქნა წარმოდგენილი ყველა ცვლილება, დაიდო შესაბამისი დასკვნები შესაბამისი შენიშვნებით, რომლებიც ატვირთულია ელექტრონულად და შეგიძლიათ იხილოთ ოქმების მეშვეობით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია იმედს გამოთქვამს, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელი იქნება მეტად საქმიანი, ორიენტირებული პროფესიონალიზმსა და აქტიურ თანამშრომლობაზე ჩვენს თანამოქალაქეებთან, ასევე გვაქვს იმედი ჩვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებისა აუდიტის რეკომენდაციებთან ერთად. აუდიტორული და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის დასკვნები თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 30

წინააღმდეგი _ 1

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

IV საკითხი: ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთვში მდებარე #28.09.24.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მოისმინეს:

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთვში მდებარე #28.09.24.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა: აკაკი ყაჭეიშვილმა, მარინე ბერაძემ, კლოდი მდინარაძემ</u>

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალისათვის“ ჩოხატაურის მუნიციპალიტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიდისთვში მდებარე #28.09.24.267 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

V საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მოისმინეს:

5. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მანანა მინდაძემ,მალხაზი ჩხიკვაძემ უშანგი ართმელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვარის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა